რამდენი ტყუილი აღმოაჩინა ლადო პაპავამ პრეზიდენტის ეკონომიკურ პროგრამაში?

გაზეთი “კვირის ქრონიკა”, 4-10 თებერვალი, № 5, 2008

ამ დღეებში პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ პარლამენტში მთავრობის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა წარადგინა და დეპუტატებს დიმპიტაურ-დამპიტაურის ფონზეც მიაღებინა. კი, ბატონო, ასეთი ოპერატიული მუშაობის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ძალიანაც კარგია, რომ ვიღაც-ვიღაცებმა გაიღვიძეს, მაგრამ წინასაარჩევნო დაპირებები სად გაქრა, ჩვენი კეთილდღეობის მაჩვენებელი ყველა ციფრი რატომ შემცირდა? არადა, ეკონომიკის ექსპერტი და პარლამენტარი, ბატონი ლადო პაპავაც გვიდასტურებს, ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობას ლამაზად შეფუთული ტყუილი შესთავაზაო.

– დასაწყისშივე უნდა აღვნიშნო, რომ აქამდე რა პროგრამებიც მთავრობამ წარმოადგინა, ყველა დეკლარაციული ხასიათისაა. ყველა პრემიერ-მინისტრს, ზურაბ ჟვანიას ჩათვლით, პარლამენტში ნამდვილი სამოქმედო გეგმა არასოდეს შემოუტანია. სხვათა შორის, მათ რომც სდომებოდათ, ვერ შემოიტანდნენ, რადგან ახალი მთავრობის ფორმირებისა და წარდგენის საკონსტიტუციო ვადები ძალიან მცირეა. რაც შეეხება ლადო გურგენიძის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს, რომელიც ამ დღეებში პარლამენტმა განიხილა, შედარებით უკეთესია.

– უკეთესობაში იმას გულისხმობთ, რომ ყალბი ციფრებით არის გადაჭრელებული?

– თუ ყველა წინა დოკუმენტი მხოლოდ ზოგად ფრაზებზე იყო აგებული, ახლა უკვე გაჩნდა გარკვეული ვალდებულებებიც. როდესაც კონკრეტულად აცხადებენ, როგორი უნდა იყოს ეკონომიკის ზრდის საშუალო ტემპი, რამდენი იქნება ინფლაციის საშუალო დონე, ამ შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან

მთავრობა უკეთესად გაკონტროლდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, გურგენიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი პროგრამა მაინც არ გახლავთ. ხელისუფლებამ უნდა აგვიხსნას, ამ ყველაფრის მიღწევას რის საფუძველზე და როდის აპირებს? მაგალითად, თეთრზე შავით წერია, რომ ხუთ წელიწადში საპენსიო პაკეტი უნდა გახდეს 100 დოლარი. რას ჰქვია, ხუთ წელიწადში, ამ თანხას პენსიონერები 2012 წლის ბოლოს მიიღებენ თუ უფრო ადრე? ამისათვის რა სახის რესურსები იქნება გამოყენებული? შემდეგ... უნდა გაიწეროს, ამ ყველაფრის შესრულებაზე კონკრეტულად რომელი სამინისტრო იქნება პასუხისმგებელი. აქ ერთი მომენტიც არის გასათვალისწინებელი: მთავრობამ თავის სამოქმედო პროგრამას ვერ დაწერდა იმ მარტივი მიზეზის გამოც, რომ ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატი საქართველოში არ იმყოფებოდა, ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატი პრეზიდენტს ახლდა უცხოეთში ვიზიტისას და ასე შემდეგ.

– ე.წ. პროგრამაში წერია, რომ უზრუნველყოფილი იქნება საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება, ასევე გაიზრდება ადამიანების ხარისხი საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისათვის, უპირატესობა მიენიჭებათ სტუდენტებს, მეწარმეებს და მეცნიერებს. ამიხსენით, ეს თავისუფალი გადაადგილება რას ნიშნავს, ზოგისთვის სავიზო რეჟიმი უქმდება?

– ეს ფრაზები ევროკავშირის დოკუმენტებიდან გახლავთ აღებული. როდესაც ევროკავშირი იქმნებოდა, მაშინ ზოგიერთი ქვეყნისთვის გარკვეული ბარიერები არსებობდა და შემდგომში მოიხსნა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში საუბარია საქონლისა თუ ადამიანების თავისუფალ გადაადგილებაზე ევროკავშირის შიგნით, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, ჩვენ რა სახის შეზღუდვებს მოვხსნით, სხვა ქვეყნების მთავრობები მზად თუ არიან, რომ საქართველოდან წასული სტუდენტები, მეცნიერები და მეწარმეები მიიღონ? თუ ჩვენი ხელისუფლება ამ პრობლემებს მოაგვარებს და ქართველები ევროპაში ვიზების გარეშე შეაღწევენ, კარგი იქნება. სხვა თუ არაფერი, ეს ლამის ევროკავშირის წევრობასაც კი ნიშნავს.

– ლადო გურგენიძის აზრით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ყოველწლიურად 8 პროცენტით გაიზრდება, ხოლო ინფლაცია ერთნიშნა ციფრის დონეზე შენარჩუნდება.

– ეს სავსებით ნორმალური ჩანაწერია, მაგრამ მინდა, მკითხველს ერთი ფრიად გაპიარებული ტყუილი შევახსენო: საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში გაისმა ასეთი ფრაზა – ხუთ წელიწადში შიდა პროდუქტის მოცულობა გასამმაგდებაო. ამ შემთხვევაში კი ეკონომიკის ზრდის წლიური ტემპი 25 პროცენტი უნდა ყოფილიყო, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელია და პროფესიონალებმა ტყუილი არ დაიჯერეს, მაგრამ არჩევნები დამთავრდა თუ არა, მთავრობამ სიმართლის თქმა ამჯობინა. რაც შეეხება ინფლაციის დონეს, ერთნიშნა ციფრის შენარჩუნება აუცილებელია, მაგრამ ჩვენ ისიც კი არ ვიცით, ამჟამად რა მაჩვენებელია. სხვათა შორის, ვეჭვობ, რომ ამის შესახებ არც მომავალში გვეცოდინება რამე.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ინფლაციის დონეს ანგარიშობს სტატისტიკის დეპარტამენტი, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს შემადგენელი ნაწილია და გარკვეულ ზეწოლასაც განიცდის – რასაც მთავრობა ითხოვს, იმას აკეთებს. როდესაც ლადო გურგენიძეს პარლამენტში ნოემბერში ნდობას უცხადებდნენ, იგი ერთ-ერთ საკითხად ამ დეპარტამენტის რეორგანიზაციასაც განიხილავდა. თუ ეს პრობლემა მოგვარდება, მაშინ რაღაც წინსვლაზე ლაპარაკი შესაძლებელი იქნება.

– კი, მაგრამ სტატისტიკის დეპარტამენტს რაც არ უნდა რეორგანიზაცია ჩაუტარონ, მაინც ამ ხელისუფლების ხელში არ დარჩება?

– ეს სტრუქტურა უშუალოდ პრეზიდენტს უნდა დაექვემდებაროს, ისე როგორც ვარდების რევოლუციამდე იყო.

– აუჰ... პრეზიდენტს რომ დაექვემდებარება, სიმართლეს ილაპარაკებენ?

– ყოველ შემთხვევაში, მთავრობის შემადგენლობიდან გამოვა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ლადო გურგენიძემ პარლამენტის ნდობა გაინაღდა, სტატისტიკის დეპარტამენტზე ხმა აღარ ამოუღია და არც წარმოდგენილ პროგრამაშია რამე ნათქვამი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინფლაციის ციფრობრივ მაჩვენებელს თვითონ განსაზღვრავენ, რაც თვითონ უნდათ, იმას დაწერენ.

– კიდევ ერთი ტყუილი: პროგრამის მიხედვით, საქართველო გადაიქცევა საერთაშორისო საფინანსო ცენტრად, ქვეყანაში განთავსდება არანაკლებ 12 მილიარდი დოლარის ფინანსური რესურსი, შეიქმნება სულ ცოტა, 10 ათასი ახალი სამუშაო ადგილი. ლადო გურგენიძე არ გვაბოლებდა, 200 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნებაო?

– არ ვიცი, ეგ შეკითხვა ლადო გურგენიძეს უნდა დაუსვათ. მე მგონი, ეს მთავრობის მხოლოდ სურვილია და მეტი არაფერი.

– მაშინ ის მაინც მითხარით, საქართველო საერთაშორისო საფინანსო ცენტრად რანაირად უნდა გადაიქცეს?

– ამჟამად პარლამენტში შემოსული კანონ-პროექტის მიხედვით, იმ უცხოურ საფინანსო ინსტიტუტებს, რომელთა შემოსავალი საქართველოში არ იქნება საერთო შემოსავლის 10 პროცენტზე მეტი, საგადასახადო შეღავათები მიეცემათ. ამ კვირაში მისი განხილვა დაიწყება და თებერვალში კენჭისყრაზე დადგება. მე ერთი რამ ნამდვილად არ მესმის, თუკი იმ კომპანიებს, რომელთა ძირითადი შემოსავალი უცხოეთზე მოდის, შეღავათები უნდა დაუწესდეთ, ქართულმა საფინანსო ორგანიზაციებმა რა დააშავეს.

– ესე იგი, ჩვენი ხელისუფლება შეღავათებს მხოლოდ უცხოურ კომპანიებს უწესებს?

– დიახ, ასეა და ამ შეკითხვას მე პარლამენტში აუცილებლად დავსვამ.

– შეიძლება მომდევნო შეკითხვა თქვენ არ გეხებათ, მაგრამ ვფიქრობ, საკუთარი აზრი მაინც გექნებათ. მთავრობა გვპირდება, რომ მომდევნო ხუთ

წელიწადში საქართველოს ფაქტობრივი მოსახლეობა 150 ათასი კაცით გაიზრდება. დავიჯერო, დიასპორის სამინისტრო ამისთვის შექმნეს?

– ამ ჩანაწერში რომ დემოგრაფიული პროგრამის მოგვარება არ იგულისხმება, აშკარად ჩანს. თუ უცხოეთის ქვეყნებში გაფანტული ქართველების დაბრუნებას აპირებენ, მაშინ ამას ცხოვრების ნორმალური გარემოს შექმნა უნდა და არა სამინისტროს ჩამოყალიბება. არ ვიცი, შესაძლოა, ამით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარებასაც გულისხმობენ.

– ბატონო ლადო, ჩვენი მთავრობა კი ფაფხურობს, ამას ვიზამ, იმას ვიზამო, მაგრამ თავის პროგრამაში ასეთ ჩანაწერს გვთავაზობს: „მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში შენარჩუნდება ბოლო წლების ეკონომიკური კურსი და დინამიკა“. შე დალოცვილო, თუ კურსი და დინამიკა შენარჩუნდება, მაშინ რომელ მიღწევებზე მელაპარაკები?

– ძალიან კარგი შენიშვნაა... მე მგონი, ამ მთავრობისთვის კურსის შენარჩუნება საამაყო არ უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის წევრები არაერთხელ გააკრიტიკა და უგულოებიც კი უწოდა. ჩემთვის ისიც მნიშვნელოვანია, რომ არსებობს წინააღმდეგობა პროგრამის სათაურსა და შიგ ჩაწერილ ტექსტს შორის. პროგრამას ჰქვია: „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“. ტექსტში ვკითხულობთ: „უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში სიღარიბე მნიშვნელოვნად შემცირდება“. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება არ იღებს ვალდებულებას, რომ ხუთ წელიწადში საქართველო სიღარიბის გარეშე იქნება. სხვათა შორის, სოციალური პაკეტის მიხედვით, ბენეფიციართა, ანუ სახელმწიფოზე დამოკიდებულ გაჭირვებულთა რიცხვი 50 პროცენტით უნდა შემცირდესო. მაშასადემე სიღარიბის დაძლევა ლამაზად შეფუთული ტყუილია.

– ვერ გავიგე, ესენი აზრზე არ არიან, რას აკეთებენ?

– არა, მასე ნუ იტყვით, რევოლუციის შემდეგ ჩვენს მთავრობაში ყოველთვის აზრზე არიან, მათ შესანიშნავად იციან, რასაც აკეთებენ.

– მაშინ რა გამოდის, გვეკაიფებიან?

– ისინი ყველაფერს თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებენ, და როგორც ბოროტი ხმებო იძახიან საკუთარ გამდიდრებაზე ფიქრობენ.

გელა ზედელაშვილი